ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბესიკ ხამაშურიძის ანგარიში

2021 წლის დეკემბრიდან დღემდე, ვარ ქუთაისის საკრებულოს წევრი. ასევე ვარ საკრებულოს "განათლების კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის კომისიისა" და "ეკონომიკის ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის" წევრი.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვიღებდი მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში. დავესწარი საკრებულოს 17 სხდომას (12 რიგითი, 5 რიგგარეშე). ჩართული ვიყავი კომისიურ ფორმატში საკითხების განხილვაში. ჩემს კოლეგებთან ერთად განვიხილავდით ყველა იმ პროექტს და ინიციატივას
რომელიც ქალაქის და ჩვენი თანაქალაქელების ინტერესებს ემსახურება.

ჩემი პროფესიიდან გამომდინარე ჩართული ვარ ქალაქის სპორტული ცხოვრების განვითარებაში. მიმდინარე წელს ქუთაისელმა სპორტსმენებმა
არა ერთი წარმატება მოიპოვეს, რაშიც ვთვლი, რომ დიდი დამსახურება ადგილობრივი ხელისუფლების და იმ მიდგომების, რომელსაც
თვითმმართველობა სპორტული ცხოვრების გაუმჯობესების კუთხით აწარმოებს.

ქალაქის მაშტაბით რეაბილიტაცია ჩაუტარდა რამდენიმე მინი სტადიონს და მოეწყო სატრენაჟორო სივრცე,
რაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის მთავარი საწინდარია.

ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის მიზნით 2022 წლის 26
ივლის მონაწილეობა მივიღე პროექტ "ახალგაზრდა ელჩებთან" გამართულ შეხვედრაზე. სადაც ახალგაზრდების
დაინტერესების სფეროს წარმოადგენდა სპორტი და სპორტული კარიერის განვი თარების ეტაპები. ჩემთვის როგორც წარმომადგენლობითი
ორგანოს წევრისთვის და
ქუთაისის მოქალაქისთვის საინტერესო აღმოჩნდა ახალგაზრდების დამოკიდებულება სპორტისა და სპორტსმენების მიმართ.ვისაუბრეთ
როგორც ცხოვრების ჯანსაღ წესზე, ასევე სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობაზე.

როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი თავს ვალდებულად ვთვლი ხშირი კონტაქტი მქონეს მოსახლეობასთან და იმ პრობლემებთან,
რომელიც დღეს ჩვენს მოქალაქეებს აწუხებს. მსგავს ფორმატში მუშაობა საშუალებას მაძლევს გადაწყვეტილების მიღებისას გავითვალისწინო მოსახლეობის უმრავლესობის აზრი.